ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რ ე ქ ტ ო რ ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№18/01-01 22.02.2010

მანანა გეგეჭკორის სახელობის სტიპენდიის მინიჭების შესახებ დებულებისა და სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაწესდეს მანანა გეგეჭკორის სახელობის ყოველწლიური სტიპენდია.
2. დამტკიცდეს მანანა გეგეჭკორის სტიპენდიის მინიჭების შესახებ დებულება და სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობა თანახმად №1; №2 დანართებისა.
3. დაევალოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს (რ. ბოჭორიშვილი) წინამდებარე ბრძანების 1-ლი პუნქტის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების გატარება.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს.
5. დაევალოს თსუ კანცელარიას (ნ. ოვსიანიკოვა) წინამდებარე ბრძანების საჯარო გამოქვეყნება, ბრძანება გადაიგზავნოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა

დანართი №1

„დამტკიცებულია“
რექტორის 2010 წლის „22-02“
№18/01-01 ბრძანებით

მანანა გეგეჭკორის სახელობის სტიპენდია ბიოლოგიაში

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2010 წლის 1 მარტიდან აცხადებს კონკურსს უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის მანანა გეგეჭკორის სახელობის ყოველწლიური სტიპენდიის მოსაპოვებლად.

<u>კონკურსის პირობები:</u>

1. სტიპენდია გამიზნულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, რომლებიც სპეციალიზდებიან ბიოლოგიაში.
2. სტიპენდია ეძლევა განსაკუთრებული ნიჭის და სიბეჯითის მქონე სტუდენტს. მაღალი აკადემიური მოსწრება აუცილებელი წინაპირობაა, მაგრამ არ არის ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი.
3. სასურველია, რომ სტიპენდიანტი იყოს მიზანსწრაფული და თვითმოტივირებული პიროვნება. მოსალოდნელია, რომ ასეთი პიროვნება მომავალში თვითონ გახდება სხვების წინსვლის ხელშემწყობი.
4. სტიპენდია უნდა მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეს განურჩევლად ეთნიკური წარმოშობისა, სქესისა და ქონებრივი მდგომარეობისა.
5. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოიძებნა სავსებით დამაკმაყოფილებელი კანდიდატურა, სტიპენდია არ გაიცემა და შესაბამისი თანხა გადაიტანება შემდეგ წელს.

<u>დაფინანსება:</u> გაიცემა ერთი სტიპენდია, წელიწადში 2000 დოლარის ექვივალენტი ლარში - არაუმეტეს 1 წლის განმავლობაში.

სტიპენდია გაიცემა კვარტალურად 625 დოლარის ექვივალენტი ლარში, საშემოსავლოს გათვალისწინებით - უნივერსიტეტის ანგარიშზე მიზნობრივად ჩამორიცხული თანხიდან.

<u>საკონკურსო განაცხადის წარდგენა:</u> კონკურსში მონაწილეობისათვის თსუ ბაკალავრმა და მაგისრტმა 2010 წლის 10 მარტამდე უნდა წარმოადგინოს:

1. განცხადება
2. პროფესიული ავტობიოგრაფია (CV);
3. აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

საბუთები მიიღება ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურში. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: უნივერსიტეტის ქ. №13, მე–11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსი, ტელ: 30–37–92.

<u>სტიპენდიის გაცემის პროცედურა:</u>

1. სტიპენდიას ანიჭებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია

2. მიღებული საბუთების საფუძველზე კომისია ადგენს საუკეთესო კანდიდატების მოკლე სიას (1-3 კონკურსანტი). საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება პირადი გასაუბრების შედეგად. თუ კომისია საჭიროდ მიიჩნევს, მან შესაძლოა სთხოვოს კონკურსანტ სტუდენტს საკუთარი სამეცნიერო ინტერესები მოკლე მოხსენების სახით წარმოაჩინოს.

<u>სტიპენდიის გაცემის ფორმა:</u> გამარჯვებულ სტუდენტებს სტიპენდია და დიპლომები საზეიმო ვითარებაში ყოველი წლის მარტის ბოლო რიცხვებში გადაეცემათ. სტიპენდია გაიცემა ქვემოთ დასახელებული სამი ფორმიდან ნებისმიერი ერთ-ერთი ფორმით: ერთიანად ბანკნოტებით, საბანკო ჩეკით სტიპენდიანტის სახელზე, ან ჩაირიცხება მის საბანკო ანგარიშზე – სტიპენდიანტის სურვილის მიხედვით მთლიანად ან დროთა განმავლობაში.

დანართი №2

„დამტკიცებულია“

რექტორის 2010 წლის „22-02“

№18/01-01 ბრძანებით

ILIA CHAVCHAVADZE AVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობა:

1. არნოლდ გეგეჭკორი- სრული პროფესორი – კომისიის თავმჯდომარე;
2. რამაზ ბოჭორიშვილი – ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მეცნიერებათა დეკანის მ.შ
3. თეიმურაზ ლეჟავა - სრული პროფესორი;
4. დიანა ძიძიგური - სრული პროფესორი;
5. ნანა კოშორიძე - სრული პროფესორი;
6. ნანული კოტრიკაძე - სრული პროფესორი;
7. ნანული დორეული - სრული პროფესორი;
8. ნინო გაჩეჩილაძე - ასოცირებული პროფესორი;
9. მარინე შენგელია - ასისტენტ პროფესორი – კომისიის მდივანი;